საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/109 "27" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

3. ხუჭუას თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. აღნიშნულ ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლეთა ბადრი ნიპარიშვილისა და ვლადიმერ ხუჭუას განცხადებები.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა უშუალოდ კანდიდატებთან გასაუბრებით, ვინაიდან თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში მხოლოდ 2 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას და ორივე მოსამართლეს გაკეთებული ჰქონდა განაცხადი თავმჯდომარის ვაკანსიაზე. მოსამართლეებთან ბადრი ნიპარიშვილთან და ვლადიმერ ხუჭუასთან გასაუბრება ჩატარდა 2022 წლის 25 ოქტომბერს, ინდივიდუალურად. მოსამართლეებმა აღნიშნეს თავისი მოღვაწეობის თავისებურებები, მიუთითეს გარემოებებზე რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა შეძლონ გადაწყვეტილების მიღება. ორივე კანდიდატთან გასაუბრება წარიმართა ღიად და მას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები.

2022 წლის 27 ოქტომბრის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ იქნა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ ბადრი ნიპარიშვილისა და ვლადიმერ ხუჭუას კანდიდატურები. ბადრი ნიპარიშვილის კანდიდატურა არ იქნა მხარდაჭერილი საბჭოს წევრების მიერ, ხოლო ვლადიმერ ხუჭუას კანდიდატურა მხარდაჭერილ იქნა ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, 2022 წლის 3 ნოემბრიდან:

1. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუა დაინიშნოს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვ. ხუჭუასათვის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/55 განკარგულება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი